საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

დადგენილება №28/2014

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების 2014 წლის 15 ივნისის არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიების დადგენის შესახებ

ქ. თბილისი 2014 წლის 1 მაისი

„საქართველოს საარჩევნო კოდექსი" საქართველოს ორგანული კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტისა და 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" საქართველოს ორგანული კანონის 56-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული სულ ცოტა 7 მაუწყებლის მოთხოვნის მიზნისათვის, პარტიებისათვის გამოყოფილი თანხის არანაკლებ 15 პროცენტისა სავალდებულოდ უნდა იქნეს გამოყენებული იმ მაუწყებლებში, რომლებმაც ამავე კოდექსის 51-ე მუხლის 6^2 პუნქტის შესაბამისად, კენჭისყრამდე არაუგვიანეს 55-ე დღისა (21 აპრილი) ცესკოში წარმოადგინეს ინფორმაცია ფასიანი სატელევიზიო რეკლამის განთავსების შესახებ და ასევე, დამატებით სხვა არანაკლებ ერთ მაუწყებელში, რომელიც არ არის ეროვნული მაუწყებელი და რომელმაც, აღნიშნული ინფორმაცია, ამ დადგენილების მიღებამდე წარადგინა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში ან/და საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში.

მუხლი 2. ამ დადგენილების პირველი მუხლის შესაბამისად განსაზღვრულ მაუწყებელზე სრულად გავრცელდება, ფასიანი და უფასო წინასაარჩევნო რეკლამის განთავსების ის წესები, რომლებიც დადგენილია „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" საქართველოს ორგანული კანონით იმ მაუწყებლებისათვის, რომლებიც არ არიან ეროვნული მაუწყებლები.

მუხლი 3. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 4. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე **თამარ ჟვანია**

კომისიის მდივანი **გიზო მჭედლიძე**